

საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო
2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45



GEORGIA
SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY
№45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ. ზუგდიდი

14.11.2017 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №12

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და
ქონების მართვის საკითხთა კომისიის
თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 37-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. არჩეულ იქნას ირაკლი ლაგვილავა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე 2017 წლის 14 ნოემბრიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.
2. განკარგულების ასლი გადაგზავნილ იქნას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში.
3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქუჩა №12).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა წოწერია